პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 136 (5746)

1976 წ. 3 ოქტომბერი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გულითადი მოლოცვა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ზ. ა. პატარიძეს

გულითადად ვულოცავ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს, ჩაის მრეწველობის, დამამზადებელი, სატრანსპორტო ორგანიზაციების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების მუშაკებს სახელმწიფოსთვის 350 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიყიდვის სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას.

მიღწეული წარმატებანი საქართველოს მეჩაიეთა თავდადებული შრომისა და გაზრდილი ოსტატობის, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისთვის დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგია.

დარწმუნებული ვარ, რომ კვლავაც გულმოდგინედ დანერგავთ ჩაის პლანტაციებსა და ფაბრიკებში მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევებს, აითვისებთ ახალ მანქანებსა და პროგრესულ ტექნოლოგიურ ხერხებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩაის წარმოების შემდგომ გადიდებასა და მისი ხარისხის გაუმჯობესებას.

სულითა და გულით გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის წარმოებისა და სახელმწიფოსთვის მიყიდვის მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულებას.

ლ. ბრეჟნევი

1976 წლის 29 სექტემბერი.

მოსკოვი

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ!

დიდი დღესასწაული მოვიდა საქართველოს მიწა-წყალზე. იგი გამოიწვია თქვენმა წერილმა, ლეონიდ ილიას-ძევ, თქვენმა გულთბილმა მისალმებამ სოფლის მეურნეობის მშრომელებისადმი, მეჩაიეებისადმი, ჩაის მრეწველობის, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების მუშაკებისადმი იმასთან დაკავშირებით, რომ რეკორდული მოსავალი მოვიწიეთ და შევასრულეთ სოციალისტური ვალდებულებები — მეათე ხუთწლედის პირველ წელს სახელმწიფოს მივყიდეთ 350 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ჩვენ, მიტინგის მონაწილეებს, კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მექანიზატორებს, სპეციალისტებს, მეცნიერებს, სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა კოლექტივების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების წარმომადგენლებს აღგვაფრთოვანებს და გვახარებს თქვენი სიტყვები, რომ მიღწეული წარმატება ჩვენი მეჩაიეების თავდადებული შრომისა და გაზრდილი ოსტატობის, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისთვის დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგია.

საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელი გულითად მადლობას გიძღვნიან თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, ახალი წარმატებანი რომ უსურვეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსთვის მიყიდვის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაში: ეს ახალ ძალასა და ენერგიას გვმატებს პარტიისა და მთავრობის ყველა დავალების შესრულებისთვის ბრძოლაში.

ამჟამად რესპუბლიკაში, ყველა შრომითს კოლექტივში დიდი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობა სუფევს. ეს იმის შედეგია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, პირადად თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, ჭეშმარიტად ლენინურად ზრუნავთ რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებისთვის, ხალხის კულტურის აყვავებისთვის, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

შემოქმედებითი და საქმიანი ვითარების განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს პარტიული ორგანიზაციისთვის ისტორიულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებამ.

ყაზახეთის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე წარმოთქმულ თქვენს სიტყვაში წამოყენებული ამოცანები და დიდმნიშვნელოვანი მითითებანი აღგვაფრთოვანებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი მძლავრი აღმავლობისთვის, ინდუსტრიულ საფუძველზე მისი გადაყვანისთვის.

მეჩაიეობაში და ჩაის მრეწველობაში განუხრელად შესრულდება თქვენი რჩევა-დარიგებანი, რომ მეჩაიეობაში ბეჯითად დავნერგოთ მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევები, ავითვისოთ ახალი მანქანები და პროგრესული ტექნოლოგიური ხერხები, რომლებიც ჩაის წარმოების შემდგომ გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, მტკიცე სიტყვას გაძლევთ, რომ დამკვრელური შრომით წარმატებას მივაღწევთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, შევასრულებთ მეათე ხუთწლედის პირველი წლის დავალებებს სახელმწიფოსთვის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის საქმეში.

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ!

გულითადად, გულწრფელად გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდ წარმატებებს კომუნისტური მშენებლობის საქმეში ჩვენი მძლავრი სამშობლოს შემდგომი აყვავებისთვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისთვის.

მიღებულია სოხუმში გამართულ საქართველოს მეჩაიეთა მიტინგზე 1976 წლის 1 ოქტომბერს.

„დინამო" მასპინძლობს მეჩაიეებს

„ჩაი — ჯანმრთელობის ელექსირი", ჩვენი ხვავი და ბარაქა. ასე შეარქვა ქართულ ჩაის ოდითგანვე ხალხმა. წელს ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეებმა და ჩაის მრეწველობის მუშაკებმა გმირული შრომით შესანიშნავ გამარჯვებას მიაღწიეს — 315 ათასი ტონის ნაცვლად 350 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს და მიჰყიდეს სახელმწიფოს. ამ დიდ წარმატებაში ჩვენი რესპუბლიკის ყველა მეჩაიეს მიუძღვის წვლილი და მათ არც მახარაძელები ჩამორჩებიან. და აი, თბილისის „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე დიღომში ბროლის თასის აღებისა და ახალი სტადიონის გახსნასთან დაკავშირებით მახარაძის რაიონის სოფელ ნარუჯის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა თბილისის დინამოელებს სამახსოვრო საჩუქარი გადასცეს.

• • •

სურათზე: მახარაძის რაიონის ნარუჯის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მშრომელების სახელით I აგროგანყოფილების მმართველი, აგრონომი რ. ზაქარიაძე საჩუქარს გადასცემს მ. მაჩაიძეს.

ჯ. ლომაიას ტექსტი და ფოტო.

დაისვენეს... გაკაჟდნენ

24-26 სექტემბერს „განთიადის" საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების ოცი კოლექტივის 180-ზე მეტი ტურისტის მონაწილეობით კიკეთის მიდამოებში გაიმართა ტურისტთა მესამე რესპუბლიკური შეკრება. შეჯიბრებამ მონაწილეთა კარგი მომზადება გამოავლინა. ტურისტულ ესტაფეტაში I ადგილი ქუთაისის სამკერვალო გაერთიანების სპორტსმენებმა დაისაკუთრეს. II ადგილზე თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის წარმომადგენლები გავიდნენ, III ადგილი ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის" ტურისტებს ხვდათ.

საველე გაზეთების გამოშვებასა და კარვების გაფორმებაში ყველას აჯობეს თბილისის № 2 სატრიკოტაჟო ფაბრიკის, ქუთაისის სამკერვალო გაერთიანებისა და თბილისის „განთიადის" გუნდებმა.

საერთო გუნდური გამარჯვებისთვის ქუთაისის სამკერვალო გაერთიანების კოლექტივი დაჯილდოვდა თასით, პირველი ხარისხის დიპლომითა და ვიმპელით, II ადგილზე გასულ ჩარხმშენებელთა სპორტკლუბ „გამარჯვების" კოლექტივს „განთიადის" ცენტრალური საბჭოს დიპლომი გადაეცა. III ადგილზე „ისნის" სპორტსმენები გავიდნენ. 157 ახალგაზრდამ ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივი.

„განთიადის" აჭარის საოლქო, ფოთის, ჭიათურის საქალაქო, ონის, სიღნაღის, გეგეჭკორის, თელავის, ბოლნისის, მარნეულის რაიონების საბჭოების მესვეურები არასერიოზულად მოეკიდნენ ამ შეჯიბრებას და მონაწილენი არ გამოგზავნეს. ეს სავალალო ამბავი ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული ორგანოებისა და „განთიადის" ცენტრალური საბჭოს მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

კარგად იმუშავა მსაჯთა კოლეგიამ მთავარი მსაჯის მ. სალდაძის ხელმძღვანელობით.

რუსუდან შანშიაშვილი.

უხვი მოსავალი

ბათუმში ჩატარდა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი მშვილდოსნობაში, რომელიც საკმაოდ ბარაქიანი გამოდგა — რესპუბლიკის 14 რეკორდი გაუმჯობესდა, 4 მონაწილემ კი პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრმა, თბილისელმა სპორტის ოსტატმა ი. ლოგინოვმა, რომელმაც რესპუბლიკის 7 რეკორდი დაამყარა: მ-1 ჯამში 1182 ქულა მოაგროვა, 90 მეტრიდან სროლით ორი დღის ჯამში 484 ქულა აჩვენა, 70 მეტრზე — 593, 50 მეტრზე — 595, ხოლო 30 მეტრიდან ასპარეზობაში 664 ქულა მოაგროვა. მანვე 50 მეტრიდან ერთი დღის ასპარეზობით 300 ქულას, ხოლო 30 მეტრიდან — 333 ქულას მოუყარა თავი.

საბოლოოდ ვაჟთა შორის რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა თბილისელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვ. ტროპინი, რომელმაც მ-2 ვარჯიშის ჯამში 2393 ქულა აჩვენა. ლოგინოვი II ადგილზე გავიდა — 2336. III ადგილზეა გ. არჩვაძე (თბილისი) — 2305.

ქალთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გ. რიჟამაძე (თბილისი) — 2334. მომდევნო ადგილებზეც მისი თანაგუნდელები ა. ზამისლოვა (2279) და ე. გოლუბევა (2219) გავიდნენ.

ცხადია, გუნდურ ჩათვლაშიც უპირატესობა თბილისელთა მხარეს იყო ქალებმა 6832 ქულა მოაგროვეს. ეს შედეგი საქართველოს რეკორდია. II ადგილი წილად ხვდა აფხაზეთის ნაკრებს — 6097, III — ქუთაისის კოლექტივს — 6013.

ვაჟთა შორის საქართველოს რეკორდით გაიმარჯვა თბილისის ნაკრებმა — 7028. II ადგილი ერგო მასპინძელთა გუნდს — 6410, ხოლო ქუთაისის გუნდი III ადგილზე გავიდა — 5128.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: თბილისი — 13860, აჭარა — 12311, ქუთაისი — 11631.

შ. გუჯარელიძე,
საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი მშვილდოსნობაში.

წილისყრა

ჩემპიონატის საზეიმო გახსნის წინ ცნობილი გახდა, რომ სსრ კავშირის ექს-ჩემპიონის, საერთაშორისო ოსტატ ე. ფატალიბეკოვას (მოსკოვი) მაგივრად შეჯიბრებაში დაშვებულია თბილისელი ოსტატობის კანდიდატი ციცინო კახაბრიშვილი. როგორც ჩანს, მოსკოველმა ოსტატმა დასვენება ამჯობინა საზონათშორისო ტურნირის წინ და ჩემპიონატში მონაწილეობისგან განთავისუფლება ითხოვა.

საქართველოს სამგზის ჩემპიონს კახაბრიშვილს კარგად იცნობს ჭადრაკის სამყარო. მას უწინაც უთამაშია ჩემპიონატის ფინალში. ახლა ერთ-ერთი პირველი კანდიდატი გახლდათ. პოლტავის ნახევარფინალში მან V-VIII ადგილები გაიყო.

გუშინწინ ჭადრაკის სასახლეში ჩემპიონატის გახსნის საზეიმო ცერემონიალი წილისყრით დასრულდა. გთავაზობთ წილისყრის შედეგებს.

1. დიდოსტატი ნ. გაფრინდაშვილი, 2. ოსტატი ლ. ბელავენეცი (მოსკოვი), 3. საერთაშორისო ოსტატი ნ. ალექსანდრია, 4. ოსტატი ა. ახშარუმოვა (მოსკოვი), 5. ოსტატობის კანდიდატი ნ. გურიელი, 6. საერთაშორისო ოსტატი მ. ჩიბურდანიძე, 7. ოსტატობის კანდიდატი ნ. იოსელიანი, 8. საერთაშორისო ოსტატი ლ. საუნინა (სვერდლოვსკი), 9. ოსტატი ლ. ზაიცევა (მოსკოვი), 10. საერთაშორისო ოსტატი ი. ლევიტინა (ლენინგრადი), 11. ოსტატობის კანდიდატი ც. კახაბრიშვილი, 12. საერთაშორისო ოსტატი ტ. ზატულოვსკაია (მოსკოვი), 13. ოსტატობის კანდიდატი ტ. უივაევა (ალმა-ათა), 14. ოსტატი ლ. მულენკო (ზაპოროჟიე), 15. ოსტატი ტ. ფომინა (ტალინი), 16. საერთაშორისო ოსტატი ე. ეპშტეინი (გორკი), 17. ოსტატი ლ. სემიონოვა (კიევი), 18. საერთაშორისო ოსტატი ა. კისლოვა (ლენინგრადის ოლქი).

გამოცხადდა, რომ სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მიენიჭება I ადგილზე გასულ მოჭადრაკეს, I-II ადგილების გაყოფის შემთხვევაში ჩემპიონის ოქროს მედალს ორი მოჭადრაკე მიიღებს.

მონაწილეებს აკრძალათ ყაიმზე შეთანხმება 30-ე სვლამდე მთავარი მსაჯის ნებართვის გარეშე.

• • •

სურათებზე: ნ. გაფრინდაშვილი აღმართავს ჩემპიონატის ალამს. ყველაზე უმცროსი მონაწილე, 14 წლის ნ. იოსელიანი წილისყრისას.

ი. იუნაევის ფოტოები.

XXXVI
თბილისი
1976

მეხუთედ...

პირველად თბილისში ქალთა საკავშირო ჩემპიონატი გაიმართა 1952 წელს. მართალია, შეჯიბრებას რუსთაველის სახელობის თეატრის შესანიშნავი საკონცერტო დარბაზი დაეთმო, მაგრამ თამაშს შესამჩნევად ცოტა მაყურებელი ჰყავდა. ეს იმიტომ, რომ მონაწილეთა შორის არც ერთი თბილისელი არ იყო.

იმ დროს ვახტანგ ქარსელაძის მართვეები მხოლოდ ფრთებს ისხამდნენ. ძველი თაობის ლიდერებმა კი ვერ გადალახეს შესარჩევი ტურნირების ზღუდეები.

ეს ჩემპიონატი იმითაც დამამახსოვრდა, რომ მასში იმდროინდელი მსოფლიო ჩემპიონი ლ. რუდენკო პირველად გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი.

1953 წლიდან საქართველოს მოჭადრაკეები სისტემატურად მონაწილეობენ საკავშირო ჩემპიონატებში, მაგრამ თბილისში ჩემპიონატის ფინალი მხოლოდ 12 წლის შემდეგ, 1964 წელს გაიმართა. ამ ხნის მანძილზე, მართალია, არც ერთი თბილისელი სსრ კავშირის ჩემპიონი არ გამხდარა, მაგრამ ფინალში საქართველო თითქმის ყოველთვის სამი-ოთხი მოჭადრაკით იყო წარმოდგენილი. უფრო მეტიც, ნ. გაფრინდაშვილმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ხოლო 1960 წლიდან თბილისში ტრადიციად იქცა ქალთა საერთაშორისო ტურნირების ჩატარება. როგორც ხედავთ, თვით ცხოვრებამ უკარნახა საბჭოთა ჭადრაკის მესვეურთ XXIV ჩემპიონატის ფინალის თბილისში დანიშვნა.

სარბიელი კვლავ რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზი გახდა, ოღონდ ამჯერად იგი პირთამდე იყო სავსე. ნ. გაფრინდაშვილისა და მისი კოლეგების თვალსაჩინო მიღწევებმა, ჭადრაკს დიდძალი ქომაგი გაუჩინა. ჩემპიონატში წარმატებითი დებიუტი ჰქონდა 15 წლის ნ. ალექსანდრიას, რომელმაც საბოლოოდ V-VII ადგილები გაიყო და რამდენიმე შთამბეჭდავი პარტია მოიგო.

როგორც მოსალოდნელი იყო, ნ. გაფრინდაშვილი დამაჯერებლად დაეუფლა ჩემპიონის ოქროს მედალს. ისტორია გამეორდა. ნონაც, როგორც რუდენკო, სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შემდეგ.

XXIV ჩემპიონატს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ჭადრაკმა ახალი გულშემატკივრები შეიძინა, ამ თამაშს ნიჭიერი თაობა მიეძალა. ხარობდა ღვაწლმოსილი მწვრთნელი ვ. ქარსელაძე, რომლის აღზრდილებმა ქვეყანა აალაპარაკეს.

მესამედ თბილისმა ქალთა XXXIII საკავშირო ჩემპიონატს უმასპინძლა. იმავე, 1973 წლის გაზაფხულზე გაიხსნა ჩვენი ჭადრაკის სასახლე, რომელმაც სტუმარ-მასპინძლის გული მოინადირა თავისი სილამაზით.

შეჯიბრებას ზღვა მაყურებელი ჰყავდა, მონაწილეთა შემადგენლობაც ისეთი იყო (მას მხოლოდ სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი ნ. ალექსანდრია აკლდა), რომ შეხვედრები საყოველთაო ინტერესს იწვევდა.

ნ. გაფრინდაშვილის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, თუმცა მას მძაფრ კონკურენციას უწევდნენ მ. შული, ვ. კოზლოვსკაია და ნ. მედიანიკოვა. მსოფლიო ჩემპიონმა გულშემატკივრებს იმედები გაუმართლა — მეორე ოქროს მედალი მოიპოვა.

საერთო ინტერესს იწვევდა 12 წლის მაია ჩიბურდანიძის თამაში. ჩემპიონატების ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო, როცა ამ დიდ ტურნირში... პატარა გოგონა მონაწილეობდა. მაიამ ისეთი სკოლა გაიარა, რომ ორი თვის შემდეგ სპორტის ოსტატის, ხოლო ხუთი თვის შემდეგ საერთაშორისო ოსტატის წოდება მიიღო.

1974 წელს ჭადრაკის სასახლეში XXXIV ფინალი გაიმართა. არც ამ შეჯიბრებას მოკლებია თბილისელთა ყურადღება, მზრუნველობა, თუმცა მონაწილეთა შორის არ იყვნენ ნ. გაფრინდაშვილი და ნ. ალექსანდრია. ჩემპიონის სახელი მოსკოველმა ე. ფატალიბეკოვამ დაისაკუთრა. კარგად ითამაშა მ. ჩიბურდანიძემ, რომელიც უძლიერეს ათეულში მოხვდა.

და აი, თბილისში მეხუთედ ტარდება ქალთა საკავშირო ჩემპიონატი. ჭეშმარიტად იგი ყველაზე შთამბეჭდავია თავისი შემადგენლობით. სასიხარულოა, რომ მის მონაწილეთა მესამედს ქართველი მოჭადრაკეები შეადგენენ. საბჭოთა მოჭადრაკეთა დიდ ფორუმში ასე უხვად ჩვენი რესპუბლიკა არასოდეს ყოფილა წარმოდგენილი.

თ. გიორგაძე.

სპორტის პროპაგანდის დღეს მიეძღვნა

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ყველა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტებმა მასწავლებლების ჯ. ფხალაძისა და ე. ხომასურიძის ხელმძღვანელობით სპორტისა და მშდ კომპლექსის პროპაგანდის დღეს მიუძღვნეს ტურისტული მარშ-გარბენი.

550-ზე მეტმა პირველკურსელმა მოიყარა თავი გამარჯვების პარკში, საიდანაც სტარტი მიეცა მშდ კომპლექსის ნორმატივების ერთ-ერთ სახეობას — ტურისტულ მარშ-გარბენს. მომავალმა ექიმებმა გეზი კუს ტბისკენ აიღეს, იქიდან უძოზე ავიდნენ და იგივე მარშრუტით დაბრუნდნენ უკან.

ქ. ძიმისტარიშვილი.

სპეციალისტთა სამჭედლოში

1883 წლის 4 სექტემბერს ცნობილი იურისტისა და საზოგადო მოღვაწის ილია წინამძღვრიშვილის ხელმძღვანელობით მცხეთის რაიონის სოფელ წინამძღვრიანთკარში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. ამ ხანად საგურამოს მხარეში არც ერთი სკოლა არ იყო. ი. წინამძღვრიშვილმა, როგორც სახიქადულო მამულიშვილმა, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება გლეხთა კეთილდღეობის საქმეს მოახმარა. მას კარგად ესმოდა, რომ მარტო წერა-კითხვის ცოდნა საკმარისი არ იქნებოდა და საკუთარი სახსრებით თავის მამულში სასოფლო-სამეურნეო სკოლა დააარსა. სასწავლებელში ჩარიცხული მოწაფე სწავლობდა მევენახეობას, ღვინის დაყენებას, მებოსტნეობას, ფუტკრისა და აბრეშუმის ჭიის მოვლას, დურგლობასა და მჭედლობას.

სკოლის გახსნამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მთელს მაშინდელ ინტელიგენციაში. ყველა ცდილობდა თავისი პირმშო ამ სასწავლებელში მიებარებინა. ამ სკოლაში უსწავლიათ მიხეილ ჯავახიშვილსა და ნიკო ქუმსიაშვილს, ყვავილების მინდიას — მიხეილ მამულაშვილსა და ცნობილ მეფუტკრეს აპოლონ წულაძეს, ცნობილ სპორტსმენებს ა. ქიბროწაშვილს, გ. გოგოლაურს...

1933 წელს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მეშვეობით სასოფლო-სამეურნეო სკოლის ბაზაზე შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, სადაც ისწავლება მეხილეობა, მებაღეობა, მევენახეობა, საბუღალტრო აღრიცხვა, ზოოტექნიკური და ვეტერინალური სპეციალობა. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ტექნიკუმის კურსდამთავრებულებს ანაწილებს სოფლის სხვადასხვა საწარმოში.

ტექნიკუმს აქვს 80 ჰექტარი ფართობის სასწავლო მეურნეობა, აქვს მეცხოველეობის ფერმაც.

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის (დირექტორი გ. ლიპარტელიანი) ახალგაზრდობის ძირითად ბირთვს ფიზკულტურელები შეადგენენ. ფიზკულტურულ-სპორტულ ღონისძიებებს თავკაცობს ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებელი, სპორტის ოსტატი სამბოში ტრისტან წიკლაური. აქ ჩამოყალიბებულია ქართული და თავისუფალი ჭიდაობის, სამბოს, მძლეოსნობის, ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის სექციები.

წელს ტექნიკუმის ქართული ჭიდაობის გუნდი რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებს შორის. წინამძღვრიანთკარელმა მძლეოსნებმა I ადგილი მოიპოვეს რაიონის პირველობაში, ხოლო შემდეგ, ბათუმში გამართულ საქართველოს პირველობაში IV ადგილს დასჯერდნენ.

სასწავლებელში 115 პირველი, მეორე და მესამე თანრიგის სპორტსმენია, მშდ კომპლექსის ნორმატივები გადაჭარბებით ბარდება.

წელს, მესამე შრომით სემესტრში წინამძღვრიანთკარელებმა ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში იშრომეს. 100-კაციანმა რაზმმა 80 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა.

ტექნიკუმის მოსწავლეებმა ივალდებულეს წელს გალავნის ექსპერიმენტულ მეურნეობაში 550 კაცდღე, ხოლო მის ტერიტორიაზე მშენებარე ობიექტზე 2 ათასი კაცდღე გამოიმუშაონ.

წინამძღვრიანთკარელებს დიდად ეხმარება სპორტში აქტიური მეცადინეობა. აქაა პატარა ზომის დარბაზი ტანვარჯიშისთვის, ფეხბურთის მინდორი მძლეოსნური ბილიკებით. ახლა კი, როცა სასწავლებელს ვეწვიეთ, დიდი სპორტული კომპლექსის მშენებლობა მთავრდებოდა. ეს კი დიდი საჩუქარი იქნება აქაური ფიზკულტურელებისთვის, რომლებიც ძალღონეს არ დაიშურებენ ახალ-ახალი წარმატებების მისაღწევად.

თ. ქიქავა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

წინამძღვრიანთკარი,
მცხეთის რაიონი.

• • •

სურათებზე: წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება; მშენებლობის საქმეთა მწარმოებელი ზ. იკაშვილი (მარჯვნივ) დავალებას აძლევს მუშა ნ. ჩილაშვილსა და მემანქანე თ. ბუთურიშვილს.

ავტორის ფოტოები.

სოფლის სპორტსმენთა პირველობა

სოფელ ზუმის სპორტულ მოედანზე ორი დღის მანძილზე მიმდინარეობდა სოფლის პირველობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

მცირეკალიბრიანი შაშხანით ტყვიის სროლაში პირველობა ა. ნიქოვანმა მოიპოვა — 48 ქულა, მეორე იყო ნ. გელანტია (47), III — ჯ. მებონია (45).

ხელყუმბარის ტყორცნაში კ. ლემონჯავამ იმარჯვა. მან ხელყუმბარა 50 მეტრზე ტყორცნა. ერთი მეტრით ჩამორჩა გამარჯვებულს ბ. გელანტიას ნატყორცნი. მესამე საპრიზო ადგილი ი. ნაჭყებიამ დაიკავა (47 მეტრი).

სიგრძეზე ხტომაში პირველი იყო რ. გელანტია (5 მეტრი და 60 სმ.). შემდეგ მოდიან კ. ლემონჯავა (5 მ. 40 სმ.) და ბ. გელანტია (5 მ. 39 სმ.).

ს. ჯალაღონია,
(ჩვენი კორ.).

ზუმი,
ჩხოროწყუს რაიონი.

რამდენიმე სტრიქონით

ზუგდიდი

ჩატარდა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ზონალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ მესტიის, ცხაკაიას, სამტრედიის, მახარაძის, წულუკიძის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, აბაშის, ხობისა და ზუგდიდის მოჭიდავეები. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს ლ. ქურდიანმა, ბ. ფირცხელანმა, რ. გუჯეჯიანმა, ო. ნაკანმა, (ყველა — მესტია), ვ. მილდიანმა (ზუგდიდი), ნ. ნარმანიამ, ვ. ნარმანიამ (ორივე — ცხაკაია), მ. ღვალიშვილმა (მახარაძე). გუნდური I ადგილი მესტიის ძლიერ კოლექტივს ხვდა. II ადგილზე გავიდნენ ზუგდიდელი, ხოლო III — ცხაკაიელი კოლმეურნე მოჭიდავეები.

კ. ფიფია.

1976, მონრეალი, XXI ოლიმპიადა

ჰიმნი დამარცხებულებს

ოლიმპიურ სოფელში ჭორი და სინამდვილე ერთნაირი სისწრაფით ვრცელდება. პირველისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ყველა ქვეყნის საეჭვო ელემენტები, რომლებსაც მყუდრო თავშესაფარი აქვთ ნაპოვნი თვით სოფელში და მის გარეთ. ისინი შემოდგომის ბუზებივით იკბინებიან და ყველა საშუალებით ცდილობენ მოწამლონ იქ შექმნილი კეთილი ურთიერთობის ატმოსფერო.

გუშინ დილით სრულიად უსაფუძვლოდ გავრცელდა ჭორი, თითქოს საბჭოთა ძიუდოისტები ოლიმპიურ ტურნირში არ გამოდიან. პრეს-ცენტრში რამდენიმე უცხოელმა ჟურნალისტმა გვკითხა ამის მიზეზი. პასუხი არ გამიცია, ვაჩვენე მხოლოდ ოფიციალურ ბიულეტენში ჩამობეჭდილი წყვილთა განრიგი. პირველსავე სტრიქონში აღნიშნული იყო ენდოსა და ნოვიკოვის გვარები. უცხოელმა მხრები აიჩეჩა გაკვირვებით.

ყოველ ახალ ამბავს, ყოველ მნიშვნელოვან გამარჯვებას პირველად ადგილობრივი ტელევიზია აუწყებს ყველას. გუშინ საღამოთი პრეს-კონფერენციის შემდეგ ორტოს (კანადის რადიო და სატელევიზიო ფირმა) კორესპონდენტებმა სერგეი ნოვიკოვი სტუდიაში გააქანეს. ინტერვიუ მთელ ნახევარ საათს გაგრძელდა. დაღლილი და ბედნიერი ჩემპიონი ნაშუაღამევს დაბრუნდა ოლიმპიურ სოფელში. მეორე დილით კი იგი უკვე ჩვენ, საბჭოთა ჟურნალისტებს გვაბარებდა ანგარიშს.

— რას იტყვით სხვა ჩვენი მოჭიდავეების შესაძლებლობებზე? ჰკითხეს საუბრის დროს ჩემპიონს.

— სულ ცოტა კიდევ ოთხს აქვს ოლიმპიური ჯილდოს მოპოვების შანსი. ნოვიკოვს მხედველობაში ჰყავდა ნევზოროვი, დვოინიკოვი, ხარშილაძე და ჩოჩიშვილი.

— რა არის საჭირო იმისთვის, რომ თქვენი პროგნოზი გამართლდეს?

— კარგი კენჭისყრა და ცოტა იღბალი. ნოვიკოვს გაეღიმა. მაშინვე მივხვდი, რომ თავისი თავი ჰყავდა მხედველობაში, როცა კენჭისყრაზე ლაპარაკობდა.

იაპონელთა ბანაკი ტურნირის პირველი დღის შემდეგ პანიკამ მოიცვა. მძიმე წონაში ისინი, როგორც ჩანს, ოქროს მედლის მიღებას ვარაუდობდნენ. ენდოს მარცხმა გუნება წაუხდინა ტახტის მემკვიდრე პრინცს, რომელიც ძიუდოს დიდი გულშემატკივარია და მთელი წლის მანძილზე ყურადღებით ადევნებდა თვალს თავისი გუნდის ოლიმპიურ სამზადისს. იაპონელმა სპეციალისტებმა იმედები ერთი დღით გადადეს და პრინციც დაამშვიდეს — დღეს ისინი უსათუოდ მიიღებენ ოქროს მედალს ქვემძიმე წონაში. პრინცი დილითვე ესტუმრა ველოდრომს, სადაც ძიუდოისტთა ტურნირი ტარდებოდა. ეს უკვე რაღაცას ნიშნავდა.

ჟურნალისტები უფრო პრაქტიკული ხალხია და მოვლენებსაც რეალურად აფასებენ. „რატომ გგონიათ, რომ ძიუდო მხოლოდ იაპონური ჭიდაობაა, — გაკვირვებით კითხულობენ ისინი. — ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როცა ამომავალი მზის ქვეყანა განუკითხავად ბატონობდა მსოფლიო ტატამზე. ახლა ძიუდო ჩვენიც არის, იაპონელების, და ყველა იმათი, ვინც შეიყვარა ეს ჭიდაობა. ფეხბურთი უკვე კარგა ხანია არ ითვლება წმინდა ინგლისურ სპორტად, თუმცა ეს თამაში სწორედ ბრიტანეთის კუნძულებზე გამოიგონეს".

სრული ჭეშმარიტებაა და საკმაოდ ზუსტი ანალოგია. ძიუდომ კარგა ხანია დაამსხვრია ეროვნული ბარიერები და საყოველთაო სპორტი გახდა. ევროპა სულ უფრო ხშირად ერევა იაპონელთა შინაურ საქმეებში. ეს, რა თქმა უნდა, აღიზიანებს ძიუდოს ფუძემდებლებს, მაგრამ სად გაექცევი ფაქტებს? გეეზინკი და რიუსკა დიდი ხანია ჩამოსცილდნენ აქტიურ სპორტს. იაპონელებმა მცირე ხნით სული მოითქვეს, მაგრამ ახლა საბჭოთა სპორტსმენებმა იმძლავრეს. მიუნჰენის ოლიმპიადაში ერთი ოქროს მედალი ჩოჩიშვილმა წაიღო, მონრეალში — ნოვიკოვმა. ვინ არის შემდეგი?

სერგეი ნოვიკოვი უდავოდ სწორი იყო, როცა წარმატების ერთ-ერთ პირობად კენჭისყრას ასახელებდა. მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ განაწილდებიან ქვეჯგუფებში უძლიერესნი. ქვემძიმე წონის საერთო განაცხადში 49 მონაწილეა. მათ შორის ბევრია ტიტულოვანი სპორტსმენი, ეგრეთ წოდებული ფავორიტი. დავასახელებ მხოლოდ რამდენიმეს: ნინომია (იაპონია), ხარშილაძე (სსრ კავშირი), სტარბრუკი (ინგლისი), რუჟე (საფრანგეთი), ჟუველა (იუგოსლავია), რეიტერი (პოლონეთი), ლორენცი (გდრ). ახლა მთავარია, ვინ რომელ ჯგუფში იასპარეზებს.

დილით პრეს-ცენტრში გამოაკრეს წყვილთა გვარები. რუჟე, სტარბრუკი და ხარშილაძე ერთ ჯგუფში მოხვდნენ. კიდევ კარგი, რომ აქვე არ არის იაპონელი. საცოდაობა მაშინ გენახათ.

...პირველი წრე ყველა ფავორიტმა შედარებით ადვილად გაიარა — დამარცხებულები ბრძოლას გამოეთიშნენ, ე. ი. მონაწილეთა რაოდენობაც განახევრდა. მაგრამ მეორე წრიდან მოყოლებული უკვე ყველა შეხვედრა მძიმეა, პასუხსაგები. ამ წრეში რამაზ ხარშილაძის მეტოქეა სამხრეთკორეელი ჩხო ჯაკი, რომელმაც პირველი ბრძოლა სარეკორდოდ მოკლე დროში — 27 წამში მოიგო.

ინიციატივა თავიდანვე ხარშილაძემ იგდო ხელთ. მან მეტოქეს ჯერ ერთი იუკო აართვა, მერე ორი კოკა. ძიუდოში ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავს. მაგრამ რამაზი მაინც არ ცხრება, წმინდა გამარჯვებას, რა თქმა უნდა, მეტი ეფექტი აქვს, მომავალ მეტოქეზეც ფსიქოლოგიურად მოქმედებს.

უეცრად მსაჯი აჩერებს შეხვედრას. ხარშილაძეს მხარი ეტკინა. ჩვენ შეშინებული გავცქერით ტატამს, სადაც ექიმი ტკივილს უყუჩებს დაზარალებულს. ბრძოლა განახლდა, მაგრამ მცირე ხნით — ისევ საჭიროა ექიმის ჩარევა. ნუთუ ეს ტრავმა გავლენას მოახდენს ხარშილაძის მომდევნო ბრძოლებზე. კორეელს არაფრის იმედი არა აქვს, ვინაიდან შეხვედრა ფაქტიურად წაგებულია, მაგრამ რა მოხდება მომდევნო წრეში, არავინ იცის.

სენეგალელი ჯიიბა ფიზიკურად ძლიერი და გამძლე მოჭიდავეა. რამაზი სწორედ მას უნდა შეხვდეს ათ წუთში. ნეტავ რა მდგომარეობაში აქვს მხარი? ქვეყანა რომ დაიქცეს, პოლიცია ახლოს არ მიგიშვებს მონაწილეებთან. არა და ჩვენ ახლა ერთი რამ გვაინტერესებს მხოლოდ: რამდენად სერიოზულია რამაზის ტრავმა.

პირველსავე წუთმა ჩვენი ეჭვები და შეშფოთება გაფანტა. ხარშილაძე ქორივით დასტრიალებს მეტოქეს, ეძებს ხელსაყრელ მომენტს, რომ ბრძოლა დროზე ადრე დაამთავროს. ეს ყველაზე კარგი გამოსავალია — დასვენებისთვისაც მეტი დრო ექნება. მეორე წუთის მიწურულში ხარშილაძემ მეტოქე შეცდომაზე დაიჭირა და სენეგალელი ხაფანგში მომწყვდეულივით აფართხალდა ტატამზე. გასახდელში გამარჯვებულს ერთხელ კიდევ გაუყუჩეს ტკივილი.

ამასობაში სურათი თითქმის მთლიანად გაირკვა. სტარბრუკმა უმნიშვნელო უპირატესობით დაამარცხა შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი რუჟე და ახლა რამაზისთან შეხვედრის სამზადისს შეუდგა. ამ ჯგუფიდან ფინალისტს ხარშილაძე — სტარბრუკის ორთაბრძოლა გამოავლენს.

მეორე ჯგუფში კინაღამ სენსაცია მოხდა. რეიტერმა ისეთი ტემპი მოახვია თავს ნინომიას, რომ ეს უკანასკნელი დასაწყისში ყრუ დაცვაზე გადავიდა, ჯერ კოკა აიღო პოლონელმა, მერე ორჯერ მოგვერდი გაუკეთა ისე, რომ გამოცდილმა იაპონელმა ძლივს დააღწია თავი ხიფათს. მე გამაოცა იაპონელის სიფრთხილემ პირველ წუთებში. მას ისე მიჰყავდა ბრძოლა, თითქოს კარგ ცხენზე ცუდი მხედარი შესვესო. აშკარა იყო, რომ ნინომიამ კარგად ვერ შეაფასა მეტოქის შესაძლებლობები, მაგრამ სულ მალე ვიგრძენით მისი ინტუიციისა და ფანტაზიის ძალა. იაპონელმა გაათანაბრა ქულები, მერე დაწინაურდა და ბოლოს დამაჯერებელი გამარჯვებაც მოიპოვა.

ნახევარფინალური შეხვედრის წინ ხარშილაძე ზედმეტად გულდამშვიდებული მეჩვენა. მართალი გითხრათ, გულში უსიამოვნოდ გამკრა — მე ყოველთვის მაშინებს ხასიათის მკვეთრი და სწრაფი ცვლილება. მაგრამ ამჯერად შეშფოთება უსაფუძვლო გამოდგა. სტარბრუკთან შეხვედრა მან უნაკლოდ ჩაატარა და დიდი უპირატესობითაც გაიმარჯვა.

დადგა ფინალის დრო. და როგორც ვარაუდობდნენ, გადამწყვეტ ბრძოლაში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ ხარშილაძე და ნინომია. მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამ შეხვედრაში ბედმა იაპონელს გაუღიმა და სწორედ ის გახდა ჩემპიონი. მაგრამ ხშირად ვეკითხები თავს: შესაძლებელი იყო თუ არა ამ ბრძოლაში სხვა შედეგი?

რამაზ ხარშილაძეს, როგორც მოჭიდავეს, ბევრი კარგი თვისება აქვს: თამამია, გაბედული, სირთულეებს არ უშინდება და ადვილად ვერ მოახვევ თავს შენს ნება-სურვილს. მაგრამ ყველაზე უფრო მეტად მასში მებრძოლის სული მომწონს. ერთი რამ იყო მხოლოდ გულდასაწყვეტი — ტრავმა, რომელიც თავს იჩენდა დროდადრო და არ აძლევდა საშუალებას ბოლომდე აქტიური ყოფილიყო. ამან უსათუოდ იქონია გავლენა ფინალურ ბრძოლაზეც, რომელიც როგორც წესი, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია და მძიმე.

არის კიდევ ერთი მომენტი, რომელსაც არ შეიძლება გვერდი ავუაროთ. ხარშილაძემ მონრეალში ფაქტიურად გააკეთა თავისი საქმე. ვერცხლის მედალი განაღდებული ჰქონდა მარცხის შემთხვევაშიც. ესე იგი დასაკარგი არაფერი იყო. ასეთ დროს რისკიც გამართლებულია და ზედმეტი აზარტიც. მით უმეტეს, რომ ვერავინ უსაყვედურებს სითამამეს სანახევროდ მწყობრიდან გამოსულ სპორტსმენს. მაგრამ ტრავმამ მის ფსიქიკას გარკვეული დაღი დაასვა და ალბათ ამან გადაწყვიტა კიდეც ბრძოლის ბედი.

ფინალური შეხვედრის შემდეგ ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ გულახდილად. იგი უკმაყოფილო იყო შედეგით და გულისტკივილით იგონებდა იაპონელთან ბრძოლის დეტალებს. მე კი სულ სხვაგვარად ვფიქრობდი: ოლიმპიური ვერცხლის მედალი თავისთავად დიდი წარმატებაა. მან ერთადერთი ბრძოლა წააგო ამ ტურნირში და ისიც ღირსეულ მეტოქესთან. რატომ უნდა იყოს შედეგით უკმაყოფილო? ჩემის აზრით მთავარი ისაა, რომ ხარშილაძე ცოდნითა და გამოცდილებით აღიჭურვა. მან პირველივე ცდით შედგა ფეხი ოლიმპიურ კვარცხლბეკზე. სხვები კი ისე ამთავრებენ კარიერას, რომ ერთხელაც არ განუცდიათ ეს ბედნიერება.

საბჭოთა და იაპონელი ძიუდოისტების ოლიმპიურმა ქიშპობამ მომდევნო დღეებში უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო. საშუალო წონაში იაპონელმა სონოდამ გამოიჩინა თავი. დვოინიკოვი, ხარშილაძის მსგავსად, ვერცხლის პრიზიორი გახდა. სამაგიეროდ ქვესაშუალო წონაში ფავორიტებმა ადგილები გაცვალეს: პირველი ადგილი ნევზოროვს ერგო, მეორე — კურამოტოს.

მსუბუქ წონაში ჩვენს მწვრთნელებს ილუზიები არ ჰქონიათ. ოლეგ ზურაბიანი პირველად გამოდიოდა საერთოდ საერთაშორისო სარბიელზე და ამიტომაც მას ბევრს არაფერს თხოვდნენ. ზურაბიანი ზედ სტარტზე შეხვდა გამოცდილ და ძლიერ იტალიელს მარიანის (ეს უკანასკნელი ბრინჯაოს პრიზიორი გახდა), დამარცხდა და გამოეთიშა ბრძოლას.

დადგა ძიუდოისტთა ტურნირის ბოლო დღე. გასანაწილებელი დარჩა ოლიმპიური მედლების ბოლო კომპლექტი აბსოლუტურ კატეგორიაში.

...ჩოჩიშვილი, უემურა, პაკ ჩონ გილი, რუჟე — ოთხივე ფავორიტი კენჭისყრით პირველ ჯგუფში ასპარეზობს. მეორე ჯგუფის შემადგენლობა აშკარად უფრო სუსტია. აქ მხოლოდ ორი სპორტსმენის გამოყოფა შეიძლება — რემფრისა (ინგლისი) და ნოიროიტერის (გფრ). აი, ესეც ბედის კიდევ ერთი მწარე დაცინვა. ჩოჩიშვილი და უემურა ფინალამდე შეხვდებიან ერთმანეთს. ე. ი. ერთ-ერთი უსათუოდ განზე უნდა დადგეს, ჩამოსცილდეს მთავარ ბრძოლას.

ამბობენ, რომ რწმენა შემოქმედებითი სიძლიერის წყაროა. ამიტომ ადამიანმა ჯერ თავისი თავი უნდა დაარწმუნოს იმაში, რომ არ არის ისეთი, როგორც ყველა, მერე უფრო ადვილია იგივეს დამტკიცება სხვებთან. ჩოჩიშვილმა იცის თავისი მუხლის ძალა — მან სხვებსაც დაუმტკიცა ეს, ამიტომ მას ერიდებიან. ესპანელმა ფრუტოსმა ჩოჩიშვილთან შეხვედრაზე უარი თქვა — იცის კარგად, რომ საბჭოთა ჩემპიონის წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობს. უფრო თამამი ყოფილა იუგოსლაველი კოვაჩევიჩი. იგი გამოვიდა კიდეც ტატამზე და თავგანწირვით იბრძოლა, მაგრამ ჩოჩიშვილმა „ვაზარი წაართვა" — ეს თითქმის წმინდა გამარჯვებაა.

უემურამ რის ვაი-ვაგლახით ჩამოიცილა გზიდან კორეელი გიგანტი პაკ ჩონ გილი, მერე რუჟეს მოუგო წმინდად და ნახევარფინალში გავიდა. ნახევარფინალში ჭიდაობის უფლება მოიპოვა ჩოჩიშვილმაც ჩეხოსლოვაკიელ ნოვაკთან გამარჯვების შემდეგ.

...მესამე თუ მეოთხე წუთია. მეტოქეები, ერთმანეთს უტრიალებენ. არაფერი გამოდის. მსაჯებმა შეაჩერეს ბრძოლა. შოთას თვალები ჯიუტად გაჰყურებს სივრცეს, ფეხებით იგი ერთსა და იმავე ადგილს ტკეპნის, თითქოს სარბიელის სიმკვრივეს ამოწმებსო, იგი მზად არის ბრძოლისთვის, მაგრამ იაპონელი ყურადღებადაა ქცეული — წინ წაწეული ხელებით ახლოს არ იკარებს მეტოქეს.

ასე გადის დრო, ძვირფასი წუთები. წამოიწყებს შეტევას ერთი — მეორე უმალ ხელს უშლის. მერე როლები იცვლება. არბიტრი მსაჯებს ეთათბირება. როგორც ჩანს, გაფრთხილების მიცემას აპირებს. დრო კი იწურება, ახლა უსათუოდ ქულაა საჭირო. ერთი ქულა, ერთი ბრმა სარმა. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი არბიტრის გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული. იაპონელმა იცის ეს და მოჩვენებითად აქტიურობს, ვითომ შეტევის წამოწყება სურს. ეს ცრუ მანევრი გარკვეულ ეფექტს ახდენს. და აი მსაჯები გადაწყვეტილებას იღებენ უემურას სასარგებლოდ. მაყურებლები აშკარად უკმაყოფილონი არიან, მაგრამ რა გაეწყობა — ქულა ხომ ვერც ერთმა ვერ აიღო.

ამ უფერული გამარჯვების შემდეგ უემურამ ფრთები გაშალა ფინალში და რამდენიმე წუთში წმინდად დაამარცხა ინგლისელი რემფრი. ჩოჩიშვილმა ბრინჯაოს მედალი მიიღო რუჟესთან გამარჯვების შემდეგ.

აი, კიდევ ერთი დამარცხების ფასი, რომელსაც ძნელია საერთოდ დამარცხება უწოდო.

ერთ რამეში ღრმად ვარ დარწმუნებული. ჩოჩიშვილისა და უემურას ბრძოლა ფინალში რომ შემდგარიყო, ყველანი უდიდეს სიამოვნებას მივიღებდით.

ნ. გუგუშვილი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" № 194.

* * *



სურათებზე: ზემოთ — შ. ჩოჩიშვილის (მარცხნივ) და ხ. უემურას ნახევარფინალური შეხვედრის მომენტი. როგორც ხედავთ, იაპონელი მოჭიდავე თავისი აღნაგობით წააგავს ცნობილ ს. ენდოს. იგიც დაბალია, ჩაფსკვნილი, ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი და მოქნილი. ქვემოთ — რ. ხარშილაძისა (მარცხნივ) და კ. ნინომიას ფინალური ორთაბრძოლის დასაწყისი.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

თასების მფლობელთა თასის გათამაშების გარშემო

ჩვენი მეტოქე

1 ოქტომბერს, წილისყრის შედეგად, ცნობილი გახდა, რომ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მერვედფინალში თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა მეტოქე იქნება უნგრეთის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, ბუდაპეშტის მტკ.

კლუბის სრული სახელწოდებაა „მადიარ ტესტდიაკორლოკ კიორე“, რაც თარგმანში ნიშნავს „უნგრელ ფიზკულტურელთა საზოგადოებას“. ეს კლუბი ერთ-ერთი უძველესია არა მარტო უნგრეთში, არამედ ევროპაშიც. იგი ჩამოყალიბდა 1888 წელს. 1927 წელს მას ეწოდა „უნგარია“, შემდეგ, 1948-1952 წლებში გამოდიოდა „ტექსტილესის“ („ფეიქარი“) და „ბაშტიას“ („ბასტიონი“) სახელწოდებით, 1953-57 წლებში ერქვა „ვერეშ ლობოგო“ („წითელი დროშა“), ხოლო 1957 წლის შემდეგ კვლავ ეწოდა მტკ.

კლუბი აერთიანებს საფეიქრო მრეწველობის მუშაკებს. მისი სტადიონი უნგრეთის დედაქალაქში იტევს 30 ათას მაყურებელს. მოყოლებული 1904 წლიდან დაახლოებით 20-ჯერ იყო უნგრეთის ჩემპიონი, ამასთან 1917-1925 წლების მანძილზე მას ზედიზედ ცხრაჯერ ეპყრა ჩემპიონის ტიტული. მრავალჯერ იყო საპრიზო ადგილებზე, ფლობდა თასს.

მტკ 1964 წელს გავიდა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალში, 1962 წელს — ბაზრობათა თასის ნახევარფინალში, ადრე კი მიაღწია ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალს. 1955 და 1963 წლებში ორჯერ აქვს მოგებული შუა ევროპის თასი.

ამ გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ უნგრეთის ყველა დროის გამოჩენილი ფეხბურთელები, დიდი გუნდის წევრები — ლანტოში, ზაქარიაში, ჰიდეგკუტი, პალოტაში, შიპოში, შანდორი და სხვანი.

ამჟამად მტკ განიცდის თაობათა ცვლას და თავისი ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატში ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა.

ახლა მიმდინარე თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში უნგრეთის მტკ-მ 2 მატჩში დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი, პრაღის „სპარტა“ — 3:1 და 1:1.

პირველი შეხვედრა — 20 ოქტომბერს

პირველი მერვედფინალური მატჩი ბუდაპეშტის მტკ-სა და თბილისის „დინამოს“ შორის შედგება 20 ოქტომბერს ბუდაპეშტში, ხოლო განმეორებითი — 3 ნოემბერს თბილისში.

მატჩები უნგრელებთან

თბილისის „დინამოს“ თავისი არსებობის ისტორიაში სულ სამჯერ აქვს ნათამაშევი საერთაშორისო მატჩები უნგრეთის სხვადასხვა გუნდებთან.

პირველი ასეთი მატჩი თბილისში შედგა 1953 წლის 22 ოქტომბერს. ჩვენი სტუმარი იყო ბუდაპეშტის „დოჟა“. გამარჯვება წილად ხვდათ უნგრელებს — 3:2.

1959 წლის 1 ივლისს თბილისში ითამაშა სომბათჰეის „ჰალადაშმა“, რომელმაც დაამარცხა თბილისის „დინამო“ ანგარიშით 3:1.

1972 წელს ჩვენს ქალაქში ჩამოვიდა უნგრეთის ოლიმპიური ნაკრები. 17 ივნისს მან ანგარიშით 2:0 მოუგო დინამოელებს.

ამრიგად, უნგრელი ფეხბურთელები სამჯერ შეხვდნენ თბილისელებს, სამივეჯერ თბილისში და სამივე მატჩი მოიგეს. თბილისის „დინამო“ უნგრეთში ჯერ არ ყოფილა. როგორც ხედავთ, ჩვენს ახლანდელ გუნდს ყველა საფუძველი აქვს იფიქროს რევანშის აღებაზე ევროპული ტურნირის ოფიციალურ გათამაშებაში.

ფეხბურთი

არგენტინელთა გადაწყვეტილება

არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა მენოტიმ პრესის წარმომადგენლებისთვის განცხადებაში ილაპარაკა ეროვნული ფეხბურთის დიდ სიძნელეებზე. მისი თქმით, ბოლო 3 წლის მანძილზე არგენტინა დატოვა 300-მა მოთამაშემ, რომლებიც საბოლოოდ დაიკარგნენ ეროვნული ფეხბურთისთვის.

ახლა ნაკრების ხელმძღვანელობამ ასეთ ღონისძიებას მიმართა: უახლოესი დროის მანძილზე ყველა ფეხბურთელს აეკრძალება ქვეყნის ფარგლების დატოვება, მწვრთნელი აირჩევს 66 საუკეთესო მოთამაშეს, რომლებიც მსოფლიო პირველობისთვის დაიწყებენ მზადებას. ამის შემდეგ არგენტინელები ისევ გახსნიან საზღვრებს და დანარჩენ ფეხბურთელებს, თუ კი მოისურვებენ, შეეძლებათ უცხოეთში წასვლა.

ჩეხოსლოვაკიაში ივარჯიშებენ

აფრიკის თროგზის ჩემპიონის — განის ნაკრების ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ხანგრძლივი საწვრთნელი შეკრება მოაწყოს ჩეხოსლოვაკიაში. განელები დაესწრებიან ჩეხოსლოვაკიის წამყვანი გუნდების მატჩებს, გაეცნობიან საწვრთნელ პროცესს, კონსულტაციები ექნებათ ჩეხოსლოვაკიის საუკეთესო სპეციალისტებთან. როგორც ნაკრების მწვრთნელები აცხადებენ, მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ფეხბურთის ტაქტიკის შესწავლას.

ყოველივე ეს მიზნად ისახავს უკეთ მომზადებას აფრიკის მორიგი ჩემპიონატისთვის, რომელიც 1978 წელს გაიმართება აკრაში.

კარგად დაიწყო

დრამატული მომენტების სიმრავლემ, მოჭიდავეთა რაინდულმა შემართებამ, თვალშეუვლები საჭიდაო ილეთების მრავალფეროვნებამ და ცეცხლოვანი საჭიდაოს ჰანგებმა ქართულ ჭიდაობაში სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ პირად-გუნდური პირველობის საყურებლად თბილისის სპორტის სასახლეში მოსული სპორტის მოყვარულები მოხიბლა.

ამ საინტერესო ასპარეზობაში გამარჯვების მოსაპოვებლად მონდომებით იბრძვიან აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, კასპის, ზუგდიდის, დუშეთის, ქარელის, თელავის, საგარეჯოს, ლენტეხის, ზესტაფონისა და მესტიის უძლიერესი მოჭიდავეები.

გამბედაობით და ქართული ჭიდაობის ილეთების კარგი ცოდნით თავი გამოიჩინა წარსულში ცნობილი მოჭიდავის მიხო ქურხულის შვილიშვილმა მიხეილმა (საგარეჯო), რომელმაც ზედიზედ ორი წმინდა გამარჯვება მოიპოვა 60 კილოგრამის წონის მოჭიდავეთა შორის. სპეციალისტების მოწონება დაიმსახურა 18 წლის ქარელელმა სპორტსმენმა გ. მეყანწიშვილმა, რომელმაც აგრეთვე, ორი წმინდა გამარჯვება მოიპოვა.

სპორტის მოყვარულები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს 18 წლის კასპელი გოლიათის (105 კგ), ძიუდოში და სამბოში ჭაბუკთა შორის საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონის ნოდარ ნუგზარიშვილის ბრძოლებს. იგი არაჩვეულებრივი სიმსუბუქით და ელვისებური სისწრაფით ასრულებს ურთულეს ილეთებს და დადგენილი საჭიდაო დროის დამთავრებამდე შესვედრას შეხვედრაზე იგებს.

წარმატებით დაიწყეს ასპარეზობა რ. სისაურმა (დუშეთი), ბ. გულიაშვილმა (თელავი), შ. შუკვანმა (მესტია), გ. ჯალალმა (კასპი), თ. გრძელიძემ (აჭარა), თ. ქისიშვილმა (სამხრეთ ოსეთი), ბ. მუსელიანმა (ლენტეხი), ა. შემაზერიძემ (კასპი), თ. წითელაურმა (თელავი), რომლებმაც ასპარეზობის პირველ წრეში წმინდა გამარჯვებები მოიპოვეს.

ი. იუნაევი.

• • •

სურათებზე: კასპელ ა. შემაზერიძისა და დუშელ ჯ. ჯიქურის (მარცხნივ) და თელაველ თ. წითელაურისა და ზესტაფონელ ა. ლომინაშვილის ჭიდაობის მომენტები.

ავტორის ფოტოები.

სპორტული ოქტომბერი

გთავაზობთ რესპუბლიკურ შეჯიბრებათა კალენდარს:

3-28. ჭადრაკი. სსრ კავშირის პირველობა. ქალები. თბილისი.

4-9. ფრენბურთი. საქართველოს პირველობა (II ჯგუფი). თელავი.

5-12. კალათბურთი. საქართველოს პირველობა „ა“ კლასის ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის (II წრე). ბათუმი.

6-10. ბადმინტონი. საქართველოს პირად-გუნდური თასი. სოხუმი.

8-10. ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა. რესპუბლიკური შეჯიბრება. ფოთი.

8-10. მძლეოსნობა. საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი. თბილისი.

9-10. მძლეოსნობა. რესპუბლიკის ქალაქებს შორის სამატჩო შეხვედრები. (I ზონა: ბათუმი, სოხუმი, ქუთაისი, ფოთი). ბათუმი. (II ზონა: რუსთავი, ცხინვალი, თელავი). ცხინვალი.

10-12. აკადემიური ნიჩბოსნობა. საქართველოს ჩემპიონატი. საბერიო.

11-15. კლასიკური ჭიდაობა. სსრ კავშირის გუნდური თასი. თბილისი.

11-16. ფრენბურთი. საქართველოს პირველობა (II ჯგუფი). ცაგერი.

13-18. ხელბურთი. საქართველოს პირველობა II ჯგუფის ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის. სამტრედია.

13-19. ველოსპორტი. საერთაშორისო შეჯიბრება ტრეკზე — „თბილისის დიდი პრიზი“ და საკავშირო პირადი პირველობა წყვილთა ექვსდღიან რბოლაში. თბილისი.

13-30. შაში. საქართველოს ღია ჩემპიონატი საერთაშორისო შაშში. ვაჟები. ბათუმი.

15-20. თანამედროვე ხუთჭიდი. საქართველოს ღია ჩემპიონატი რსფსრ-ს, ყაზახეთის, ლატვიის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ნაკრები გუნდების მონაწილეობით. თბილისი.

15-25. ჭადრაკი. რესპუბლიკური პირველობა პიონერთა სახლებს შორის გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე.

16-20. თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს გუნდური თასი. საგარეჯო.

18-27. აფროსნობა. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. ფოთი.

20-26. რეგბი. საკავშირო შეჯიბრება ჟურნალ „იუნოსტის“ პრიზზე 1956-57 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის. გურჯაანი.

21-24. ბალახის ჰოკეი. საქართველოს ჩემპიონატი. ქუთაისი.

21-24. ძიუდო. საქართველოს პირად-გუნდური თასი. ხაშური.

25-29. სამბო. საქართველოს პირად-გუნდური თასი. დუშეთი.

25. X-1. XI. ცხენოსნობა. საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი. გუდაუთა.

28-30. ბატუტი. საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი. ბათუმი.

28-31. აკრობატიკა. საქართველოს პირად-გუნდური თასი. ბათუმი.

28-31. ქართული ჭიდაობა. საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი. ცხაკაია.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ახალგაზრდული სპორტული თამაშები

7-10. ფეხბურთი. თბილისი.

7-10. სასტენდო სროლა. თბილისი.

16-22. კალათბურთი. თბილისი.

28. X.-5. XI. აფროსნობა. ფოთი.



უსიტყვოდ.

ა. ოქროპირიძის ნახატები.

მორიგი ტირაჟი

მოსკოვი, 2 ოქტომბერი. დღეს აქ გაიმართა „შაბათის სპორტლოტოს“ მორიგი, მერვე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები:

პირველი ტირაჟი: 2, 9, 22, 30, 33.

მეორე ტირაჟი: 2, 4, 33, 34, 36.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

5 ოქტომბერს

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში (ჯაფარიძის ქ. № 4) გაიმართება რეგბის რესპუბლიკური ფედერაციის სხდომა. დასაწყისი 18 ს.

რეგბი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. დღეს. სსრ კავშირის პირველობა უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. „ივერია“ (თბილისი) — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია (მოსკოვის ოლქი). დასაწყისი 15 ს., „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი). დასაწყისი 17 ს.

ИНДЕКС 86448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 08639